

სარგბიელი

ქართული
საბრუნველო

საორტული გაზეთი

პარასკევი 26 თებერვალი 1999 №34 (807)

ფასი 50 თეთრი

სარგბიელი

იუწყება, რომ
2 მარტიდან გაზეთის ფასი
1 ლარამდე გაიზრდება და
მკითხველისთვის
ერთგვარი კომპენსაციის
მიზნით 16-გვერდიანი
იქნება

ზაზა ჯანაშია მართალი იყო



იური
სიომინი
მოჩნუბარ
ქართველს
ვერ
ელევა

ბატისტუტამ პარჯიში დაიწყო

„ფიორენტინას“ ექიმის
თქმით, „ბატისტოლი“ 14
მარტს სრულ
მზადყოფნაში იქნება



სტეფანია ადმირალ რობინსონს შეეჯახა

„სონიქსმა“ სან
ანტონიოსთან კი წააგო,
მაგრამ ქართველი
კალათბურთელი ბოლო
მეოთხედში
სიეტლელთაგან
საუკეთესო იყო

სამხრეთის რჩეული დუჟინი იწყებს



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. E ჯგუფი

საქართველო – იტალია

27 თებერვალი, თბილისი, სპორტის სასახლე, 18 საათი

მსაჯეები: მიროდრაკ ლიჩინა (იუგოსლავია), გიორგი ვალჩევი (ბულგარეთი)

ნუთუ ათიდან ათივეს წავაგებთ? არადა, რა უორია იტალიამდე...



ლატვიელებთან შეხვედრისას ჩვენი ნაკრები უსარდლო ჯარს ჰგავდა — მთავარი მწვრთნელი ლევან მოსემვილი არ
ჰყავდა. შესაძლოა, დავით ბერძენიშვილს (მარცხნივ) და მის თანაგუნდელებს იტალიელებთანაც
პაატა გურასპაულმა და ზაზა ცაგარეიშვილმა უთავგაცონ

ქართული კალათბურთის მატჩიანე ხვალდან კიდევ ერთი საინტერესო ფურცლით
გამდიდრდება. არამცთუ ვინმე, თვით ევროპის ვიცე-ჩემპიონი იტალიელები სტუმრო-
ბენ დღეს თბილისს. აი, ხვალ კი, გულშემატკივარს საშუალება ეძლევა, სპორტის
სასახლეში იტალიურ გაკვეთილს ადევნოს თვალი, სადაც საქართველოს ეროვნული
ნაკრები მოწაფეობას თუ დასჯერდება.

იხილეთ მერვე გვერდი

ჯონ ტოშაკს რეალი მეორედ ჩააბარეს უელსელი მწვრთნელი სამეფო კლუბს აღზევებას ჰპირდება

ჯონ ტოშაკი ესპანეთის დედაქალაქში ჩავიდა.
მადრიდის „რეალის“ ახალმა მწვრთნელმა გუშინვე პირველი პრესკონფერენცია
გამართა. უელსელი მწვრთნელის მეორედ მოსვლას სამეფო კლუბში უამრავი
ჟურნალისტი ესწრებოდა. შეგახსენებთ, რომ ტოშაკი „რეალში“ 1989-90 წლების
სეზონშიც მუშაობდა და გუნდი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ახლა მადრიდელებმა
მწვრთნელის სანაცვლოდ თურქულ „ბეშიქთაშს“ 600 ათასი დოლარი გადაუხადეს.
— ძალიან მიხარია, ასეთ დიდ კლუბში რომ დავბრუნდი. დიდი გეგმები
მაქვს და ყველა მათგანი სწორედ „რეალთანაა“ დაკავშირებული. სხვა თუ
არაფერი, „რეალი“ სამეფო კლუბია და მუდამ უმაღლესი მიზნებისთვის უნდა
იბრძოდეს.
პრესკონფერენციის დაწყებამდე 70-იანი წლების შესანიშნავი „ლივერპულის“
თავდამსხმელმა „რეალთან“ გააფორმა კონტრაქტი. — იგი მადრიდული კლუბის
სათავეში მომავალი სეზონის დასრულებამდე დარჩება, რა თქმა უნდა, მანამდე
თუ არ გაათავისუფლეს. მომავალში რა იქნება, არეინ უწყის, დღესდღეობით კი
გუნდის პრეზიდენტი ლორენსო სანსი ტოშაკს იმედის თვალით შეჰყურებს:
— ჩვენ იგი გვჭირდება. სწორედ იგია ის მწვრთნელი, რომელიც დღეს ასე
სჭირდება „რეალს“. მწამს, ტოშაკი შეძლებს წარმატება მოუტანოს გუნდს.
ამ სეზონში სამეფო კლუბი სამ ტურნირში მონაწილეობს. ტოშაკმა ამის
თაობაზეც ისაუბრა:
— თუ სეზონის ბოლოს ვერც ერთი ჯილდო ვერ მოვიგეთ, ამას სრულ
კრახად ჩავთვლი, თუმცა მეეჭვება, ასე მოხდეს — „რეალი“ წლებანდელ
სეზონსაც გამარჯვებით დაასრულებს!



ჯონ ტოშაკი და ლორენსო სანსი

გურამ დოღვევაშვილის
ფოტო

REUTERS მადრიდიდან

ფიცსი ტოშაკის დაბრუნება

ჯონ ტოშაკი მადრიდის „რეალთან“ მერვედ აწერს ხელს. სამეფო კლუბმა დაადასტურა, რომ ისევ სერს შერა კაცთან, რომელიც თავადაც მოწადინებულია 1999-2000 წლების სეზონის ბოლომდე დაუბრუნდეს მას.

ეროვნებით უელსელი, სახელოვანი ინგლისური „ლივერპულის“ ყოფილი მოთამაშე, ჯონ ტოშაკი, „რეალის“ მესაჭის თანამდებობაზე შეცვლის პოლანდიელ გუს ჰიდინკს. ჰიდინკი კი მადრიდელს ოთხშაბათ დღით გა-

ყვარა, პრიმერა დივიზიონში ჩატარებული 23 შეხვედრის შემდეგ.

„რეალს“ და ტოშაკს კარგად ახსოვთ ათი წლის წინანდელი, წარმატებული თანაცხოვრება და ამიტომაცაა, რომ კლუბმა დაუფიქრებლად ჩაიყო ჯიბეში ხელი იმ 370 ათასი გირანკის გასაღებად, 49 წლის სპეციალისტის თურქული „ბეშიქთაშთან“ გამოსახსნელად რომაა საჭირო.

მაშინ, როდესაც ტოშაკი მადრიდელს პირველად ედგა სათავეში, გუნდმა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. საგულისხმოა, რომ ეს მათი შეყვარების პირველსავე წელს მოხდა და რაც მთავარია, ტოშაკის დამოძღვრება მოთამაშეებმა ისეთი ლალი, შემტევი და სანახაბრივი ფეხბურთი გააჩაღეს, რომ 38 შეხვედრაში 107-ჯერ დალაშქრეს მეტოქეთა კარი, რაც დღემდე რეკორდია.

მაგრამ, წარმატებულ სეზონს წარმატებული მოჰყვა: II თამაშის შემდეგ ანუ ნოემბრამდე გახდა ნათელი, რომ უელსელმა სპეციალისტმა რაღაც გაუშვა ხელიდან — იგი მოხსნეს, სეზონის კი არა, მისი ნახევრის ჩამთავრებაც არ აცალეს.

ტოშაკს, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, ასეთი მოპყრობა, ბუნებრივია, ეწყინა, მაგრამ დრო ზომ ყველაფრის მკურნალია, წყენა ზომ ავიწყდებათ ხოლმე. თუმცა წყენის დავიწყება ჰკუის სწავლას ხელს არასდროს უშლის. ემოცია შეიძლება განელდეს, მაგრამ გონებას უნდა ახსოვდეს, რა მოხდა და უნდა ხვდებოდეს, რა შეიძლება მოხდეს. მით უფრო, რომ კაცმა, ვინც ამჯერად დაიქირავა უელსელი, „რეალის“ ახლანდელმა პრეზიდენტმა, ლორენსო სანსამ, ოთხ წელიწადში რვა მწვრთნელი დაიფრინა.

დაფრენილთაგან მერვემ, ზემოსენებულმა გუს ჰიდინკმა, თანამდებობაზე 223 დღე დაჰყო. ისე, კაცმა შეიძლება გაიკვიროს კიდევ მისი გაშვება, რადგან ჩემპიონთა თასზე გუნდი მეთოთხედისადაა გასული, ესპანეთისაზე კი ნახევარფინალში, მაგრამ აი, პრიმერა დივიზიონშია ცუდად საქმე: „რეალი“ მეექვსე ადგილზეა, ლივერს, „ბარსელონას“ შვიდი ქულით ჩამორჩება და რაც ყველაზე უსიამოვნოა, 23 შეხვედრაში 36 გოლი აქვს გაშვებული. ამდენი, ჩემპიონატის მონაწილეთაგან მხოლოდ „სალამანკას“ გაუშვია.

სანსის მოთინებებს ფაულა ბილბაოს „ატლეტიკთან“ 0:1 და „ბარსელონასთან“ 0:3 წაგება ავსო.

ჰიდინკამდე კი იყო გერმანელი იუპ ჰაინკესი, რომელმაც „სამეფო გუნდს“ არც მეტი, არც ნაკლები ჩემპიონთა თასი მოაპოვებინა, მაგრამ მაინც დაითხოვეს. თან, მიაკციეთ ყურადღება, ჰაინკესის ხელში მოპოვებული ჩემპიონთა თასი გახლდათ ის, მადრიდელი გულშემატკივრები 32 წლის განმავლობაში ელოდნენ. ორმოცდაათიანი წლების ბოლოსა და სამოცდამეხუთე

ჯონ ტოშაკი

დაიბადა 1949 წლის 22 მარტს კარდიფში. 1966 პროფესიულ კონტრაქტს აფორმებს „კარდიფ სიტისთან“. 1968 69 და 70 წლებში უყვლება უელსის თასს.

1970 გადადის „ლივერპულში“, სადაც კვიცი კეანთან ერთად ძლიერ დუეტს ქმნის თავდასხმაში. „ლივერპულის“ შემადგენლობაში 1973, 1976 და 1977 წლებში ხდება ინგლისის ჩემპიონი. 1974 წელს უყვლება ფეხბურთის ასოციაციის თასს, ხოლო 1973 და 1976 წლებში უყვას თასს ტოშაკმა „ლივერპულში“ ჩაატარა 200-ზე მეტი თამაში, გაიტანა 35 გოლი. უელსის ეროვნულ გუნდში ჩაატარა 40 შეხვედრა, გაიტანა 15 გოლი.

1979 ხდება „სუონსი სიტის“ მოთამაშე მწვრთნელი „სუონსის“ „ლივერპულიდან“ თავისუფალი ტრანსფერის წესით გადადის „სუონსი სიტის“ ტოშაკის ხელმძღვანელობით ინგლისის მეთოთხედის დივიზიონიდან პირველში გადადის, ხოლო 1983 წელს საძველად მოაპოვებს უელსის თასს.

1984 მწვრთნელად გადადის პორტუგალიურ „სპორტინგში“.

1985 გადადის ესპანურ „რეალ სოსიდადში“. 1987 წელს გუნდი იმარჯვებს ესპანეთის თასის გათამაშებაში, ხოლო ჩემპიონატში მეთორ ადგილზე მჯდომდება.

1989 გადადის მადრიდის „რეალში“, სადაც პირველსავე სეზონში სამეფო კლუბს ქვეყნის ჩემპიონად ხდის.

1990 ათავსოვდება „რეალის“ მწვრთნელის თანამდებობაზე.



1991 ხელმეორედ იწყებს მუშაობას „რეალ სოსიდადში“, ჯერ მრეწველად, მერე კი მწვრთნელად.

1994 ნიშნავენ უელსის ნაკრების მწვრთნელად ტერი ოორატთან ერთად, ამ თანამდებობაზე ერთ თამაშს ატარებს ნორვეგიასთან, რომელშიც გუნდი 3:3 მარცხდება და ტოშაკი თანამდებობიდან მიდის. იმავე წელს ათავსოვდება „რეალ სოსიდადის“ ვაგაციის პოსტზე.

1995 ნიშნავენ „დეპორტივო ლა კორუნის“ მწვრთნელად.

1997 ათავსოვდება „დეპორტივოს“ მწვრთნელის თანამდებობიდან და გადადის თურქულ „ბეშიქთაშში“.



გუს ჰიდინკმა მადრიდში ერთადერთი ჯილდოს მოპოვება მოასწორო. სწორედ იგი, საკონტინენტთაშორისო თასი უპყრიათ ხელთ მას (მარჯვნივ) და „რეალის“ პოლანდიელ ფეხბურთელს კლარენს ზეედორფს.

გუს ჰიდინკი

დაიბადა 1946 წლის 8 ნოემბერს დოტიხეში.

1960-70 იყო პოლანდიური კლუბების „გრანაფსხაპის“ და „ანიმეჯენის“ ფრთხილ უსახური ფეხბურთელი. ერთგულ ნაკრებში არასდროს უთამაშია. მოგვიანებით გაემგზავრა აშშ-ში, სადაც „ვანდერბილტის“ დიპლომატსა და „სან ხოსეში“ ვანაგროში ფეხბურთელის კარიერა ატარებდა. პოლანდიან პოლანდიან დაბრუნდა და „ვიანდოვიცის“ ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა.

1986 ნიშნავენ „ეინდჰოვენის“ მთავარ მწვრთნელად. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული. სამჯერ თასი, 1988 წელს კი ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიგო, რომლის ფინალში უეხაბტებით სძლია პორტუგალიურ „ბენფიკას“.

1990 გადადის თურქეთში, „ფენერბაჩეს“ მწვრთნელად.

1991 სათავეში უდგება ესპანეთის პირველი დივიზიონის კლუბს, „ვალენსიას“. „ვალენსიაში“ ჰიდინკი



საკმ წელიწადს დარჩა. საუკეთესო მიღწევა, მეთოთხედისაა ქონდა.

1994 ნიშნავენ პოლანდიის ნაკრების მწვრთნელად.

1996 ევროპის ჩემპიონატზე გუნდი მეთოთხედისადაა მიიყვანა, სადაც საფრანგეთთან ბენალტებით წააგო.

1998 პოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მეთოთხედ ადგილზე გაიყვანა. იმავე წელიწადს დანიშნეს მადრიდის „რეალის“ მწვრთნელად, რომელსაც საკონტინენტთაშორისო თასი მოაპოვებინა.

მიხეილ სურგულაძე

„რეალის“ მოვადინება	
1960-74	მიგელ მუნიოსი
1974-77	მილან მილანიჩი (ოფოსლავია)
1977-79	ლუის მოლოენი
1979-82	უილიამ ბოშკოვი (ოფოსლავია)
1982	ლუის მოლოენი
1982-84	ალფრედო დი სტეფანო
1984-85	ამანსიო ამარი
1985-86	ლუის მოლოენი
1986-89	ლეო ბენჰაკერი (პოლანდია)
1989-90	ჯონ ტოშაკი (უელსი)
1990	ალფრედო დი სტეფანო და ხოსე ანტონიო კამარო
1990-91	რადიორ ანტონი (ოფოსლავია)
1991-92	ლეო ბენჰაკერი (პოლანდია)
1992-94	ბენიტო ფლორო
1994	ვინსენ დელ ბოსკი
1994-96	ხორხე ვალდანი (არგენტინა)
1996	ფაბიო კაპელო (იტალია)
1996-97	ფაბიო კაპელო (იტალია)
1997-98	იუპ ჰაინკესი (გერმანია)
1998	ხოსე ანტონიო კამარო
1998-99	გუს ჰიდინკი (პოლანდია)

ბატისტუტამდე ორი კვირაა

„ფიორენტინას“ არგენტინელი ფორვარდი, მიმდინარე სეზონის სერია A-ს საუკეთესო მეგობრე (18 ბურთი) გაბრიელ ომარ ბატისტუტა მოედანს მალე დაუბრუნდება. გუმინ იტალიის ჩემპიონატში 126 გოლის გამტანმა „ბატისტოლმა“ პირველად ივარჯიშა 7 თებერვლის შემდეგ. სწორედ იმ დღეს დაშავდა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე კამკამა ვარსკვლავი „მილანთან“ 0:0 დასრულებულ მატჩში — მას კუნთი გაუნყდა.

ტრავმის მიღების მერე, პირველ დღეებში ბატისტუტა ყავარჯნების დახმარებით დადიოდა, მისი ფლორენციელი თანაგუნდელები კი ქულებს ქულებზე კარგავდნენ, რის შედეგადაც „ფიორენტინამ“ ლიგაობა რომის „ლაციოს“ დაუთმო, მას ორი ქულით ჩამორჩება და „მილანის“ მსგავსად, 43 ქულა აქვს.

ცოდნას და ენერჯიას არ დავიშვებ, რომ გაბრიელი 14 მარტს სრულიად გამოჯანმრთელებული იყოს — თქვა ფლორენციული კლუბის ექიმმა, მარჩელო მანზოლიმ. 14 მარტს, კვირას, „ფიორენტინა“ „ვენეციას“ ესტუმრება, მანამდე კი ორი მატჩის გამართვა მოუწევს ლიდერის გარეშე, 28-ში სტუმრად „სალერნიტანასთან“ და 7 მარტს მინ „არტემიო ფრანკიზე“ ერთ-ერთ კონკურენტ „პარმასთან“.


ნოდარ კასრაძე



ცოტაც და გაბრიელ ბატისტუტა კვლავ გაშლის ხელებს

რა ვაკეთოთ?!

არგენტინის ქვედა საფეხბურთო ლიგებში ტრიბუნებზე მოხშირებული აყალმაცხადებისა და აღრეულობების გამო სასამართლომ ამ ლიგებს თამაშის უფლება წაართვა. უმაღლეს-დონეობის ლიგებში ქვედასაფეხბურთო მძეობის „სოლიდარობის ამბავში“ გაფიცვა გამოაცხადეს და ორ კვირაზე მეტია, თავთავიანთ ბაზებზე დრეფობენ... „ბოკას“ კოლუმბიელ ვარსკვლავ „ჩიკო“ სერნას ამკარად მოუწყენია, მარტინ პალერმომ კი იმედს არ კარგავს და კუნთების გახურებით ერთობა.




REUTERS ბუნების აირსიდან



ტაისონს ტელეფონის წაართვა

ბოლოს და ბოლოს, ბუნების გარდაუვალი კანონთა გამოისობით, მაიკ ტაისონმა დაიწყო ცხოვრება ნაღდი საციხო ცხოვრებით. იმ ამბავმა, რომ მაიკმა გასულ პარასკევს „ნადზორის“ ბიჭებს ჩართული ტელევიზორი ესროლა, გვარინად შეამფოთა მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოს როკვილის შრომა-გასწორების დანესებულებაში ზრდილობის საკითხების მეთვალყურე რწმუნებულები. აქამდე მაიკ ტაისონი პროილეგირებულ ბოქსში იჯდა და ცოტა განყდა მიმაგრების უფლებასაც მოიპოვებდა, მაგრამ რახან ტელევიზორი ააბურთავა, რწმუნებულთა უკმაყოფილებაც დაიმსახურა. გუშინ მას ოცდლიანი „იზოლაცია“ (თუ ჩვენებურად მოვთარგმნით „კარცერის“ მსგავსი რამ) მიესაჯა, ჩამოერთვა პრივილეგია და რაც მთავარია, ტელეფონი, რომლის მეშვეობითაც საყვარელ მეუღლესა


და გაქნილ მენეჯერებს უკავშირდებოდა. საქმე კი ასე ყოფილა: ტაისონის საკნის გისოსთან „ნადზორი“ მდგარა. ეს ტაისონს არ მოსწონებია და ტელევიზორი უსვრია.



სარბიელი არევიდან

ტელევიზორი გისოსებს შესკდომია, მაგრამ ნამტრეკები „ნადზორს“ შეყრია ცხვირ-პირში. მეთვალყურეთა აზრით, ტაისონის აფეთქება იმის ბრალი ყოფილა, რომ ორი დღეა შეუწყვეტია ანტიდემპრესანტ „ზოლოფტის“ ყლაპვა, ამ ნაშლის გარეშე კი რკინის მაიკ დასაბმელ გიჟად იქცევა ხოლმე. ისიც კი დადგენილია, რომ გზაზე ჩხუბის ატეხვის დღეს (რის გამოც ახლა სასჯელს იხდის) „ზოლოფტი“ დალეული არ ჰქონდა. ციხის პრესმდივანი ერკ სელენიოვი განგვიმარტავს, რომ განსაკუთრებული არაფერი მომდარა, რადგან „ჯედომის“ პირველი თვე სტრესულ პერიოდად ითვლება, „სეიდანიები“ კი აკრძალულია და ამიტომ, ტაისონის შემთხვევა უფრო ზოგადი პრობლემაა, ვიდრე კონკრეტული. ეჰ, ჩანს, ამხანაგმა სელენიოვმა არ იცის, ვინ არის მაიკ ტაისონი.

ტანია ახტა, დახტა და...





REUTERS მელბურნიდან

ავსტრალიელი მსოფლიოს ჩემპიონი 400 მ-ზე რბენაში ქეთი ფრიმენი ფეხის მძიმე ტრავმის გამო 7 თვის განმავლობაში „ისვენებდა“. ასპარეზს იგი მხოლოდ გასულ უქმეებზე მოუბრუნდა, ხოლო კვარცხლბეკს — გუშინ მელბურნში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე. ქეთიმ იქ ჩვეული სიმსუბუქით ირბინა და 400 მეტრი 51,43 წამში დაფარა. მელბურნში მეორე სახელოვანი ავსტრალიელი ქალის, მეჭოქე ემა ჯორჯის გამოსვლასა და მის მიერ ახლახანს გაუმჯობესებული რეკორდის გადამეტებასაც ელოდნენ. მაგრამ 33 წლის რეკორდსმენმა უეცრად მხარი წამოიტკივა და ტურნირზე მონაწილეობა ტელემეყურებლის რანგში არჩია. ემას არყოფნაში გაავსტრალიელებულმა ტატიანა გრიგორიევამ (ფოტოზე) იხიერა, რუსი დედაკაცი 4.40 მეტრიან თამასას იოლად გადაელო და ტურნირის გამარჯვებული შეიქმნა. მელბურნელებს, ისევე როგორც ამ რამდენიმე დღის წინ სიდნეელებს, მქუხარე ოვაცია გამოსტყუა ნამიბიელმა სპრინტერმა ფრენკი ფრედერიკსმა. ამჯერად მან 200 მ-ზე იჭენავა და რივიანი 19,92-იც აჩვენა.

ჭადრაკი შავტუხების თამაშია ზობს რომ ჰპითსო, ანადი პასპაროვზე მამარია

23 თებერვალს ლინარესი, იქ მიმდინარე უმაღლესი კატეგორიის ტრადიციული საჭადრაკო ტურნირით რომ ცხოვრობს, დიდი ჯახის მოლოდინში გაირინდა. საყოველთაო ყურადღება მიეპყრო ჭადრაკის ერთადერთ დავას, რომლის ცალ მხარეს შავტუხა კასპაროვი (მარცხენა ფოტოზე) მოკალათდა, ხოლო მეორე მხარეს კიდევ უფრო შავტუხა ანადი (მარჯვენა ფოტოზე). მათი შეხვედრისადმი მომეტებული ინტერესი სრულიად ბუნებრივია: გაურკვეველი ეროვნების, მავანთა აზრით, მსოფლიოს უკანონო ჩემპიონი ბოლო ხანებში ერთობ სწორად აცხადებს, პირველი მე ვარ, მეორე ანადი, დანარჩენებზე კი რა მოგახსენიოთ... კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ქვეყანაზე ინტრიგანებს რა დალევს და, ზოგიერთი ფრთხილად ამასაც კითხულობს: პირიქით ხომ არ...? მოკლედ, შავტუხების ლინარესული შეტაკება ხსენებულ კითხვაზე დროებითი პასუხის გასაცემად უეჭველად გამოდგება, თუმცა აქედანვე გეტყვით, რომ არაფერი შეცვლილა. მეტოქეებმა სულ 28 სვლა გააკეთეს და ბოლოს ყაიშზე შეთანხმდნენ, მიუხედავად იმისა, რომ პარტიამ ერთობ დამაბულად ჩაიარა. ბოლო სვლებისას დიდოსტატები, ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე მოძრაობდნენ და ოდნავ უზუსტობასაც კი სავალალო შედეგის მოტანა შეეძლო. ყაიშით დასრულდა დანარჩენი სამი პარტიაც და ამგვარად კასპაროვმა ადამსთან ერთად კვლავ შეინარჩუნა ლიდერობა. მეოთხე ტურში მისი მეტოქე რეიტინგით ანადის მიმყოფი კრამნიკი იქნება და იქაც ალბათ გვარიანი ბათქაუთქის მოლოდინში უნდა ვიყოთ.



სარბიელი არევიდან

ეზ ბიჭი ჩვენ მოგვიხდება

დენის როდმანის ამასწინანდელი საუბარი მისი „ლოს ანჯელეს ლეიკერსში“ გადასვლის შესახებ არც ისეთი ნაწიხი გამოდგა, ზოგიერთს რომ ეგონა. იქიდან მოხული უკანასკნელი ინფორმაციით, იგი თბსშაბათიდან უკვე კლუბის წევრად ითვლება და სეზონის დარჩენილ 39 მატჩში 468 ათას ჯოლარსაც მიიღებს. „იგი ჩვენ ისევე მოგვიხდება, როგორც ბექედი მის ცხვირს, ქინძისთავი მის ტუჩს და სვირინგი მის უკანალს“ ასე შეგებებია ამ ხიასლეს „ლეიკერსის“ კაბუკი ვარსკვლავი კობი ბრაიანტი.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

სარბიელი
საორტული გაჯეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოღის საგზაბათს,
ოთხგზაბათს, ხუთგზაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერია
დირექტორი ბიორბი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი მასტანბ ბზიპაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხმელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მმრამ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზენა სანიცი

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; კალათბურთის განყოფილება ვიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ვაიოხ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თაყაძე, პაატა თოთათქაძე; ლეკვან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კვედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომწვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზვბაძის
გაგზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საზოვტო მისამართი:
თბილისი — 79,
საზოვტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29